

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ოქმი N1

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

06 თებერვალი, 2023 წელი

14:00 საათი

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე - გიორგი ივანიაძე.

სხდომას ესწრებოდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 16 წევრი:

გიორგი ივანიაძე, ნათია ძოძუაშვილი, სალომე ფახურიძე, ეთერი ჭიჭინაძე, თამარ შენგელია, დავით ხარძეიშვილი, თეონა ადეიშვილი, ბესიკი გველესიანი, მარინა ღვინიაძე, ლანა გოგოძე, მიხეილ სვანაძე, ლელა ჩიკვაძე, თამაზი თავაძე, ივანე მამფორია, ნატული დვალიშვილი, გვანცა სიგუა,

/დანართი: N1/

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდნენ: გოჩა ჭუბაბრია, გელა ჩიკვაძე, გურანდა გვანცელაძე, მამუკა ნამიჭეიშვილი, გიორგი ტყემელაშვილი, ნანა ლილუაშვილი, ნატო დვალი. .

სხდომას უძღვებოდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე-გიორგი ივანიაძე. მან სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საბჭოს წევრებს ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს დღის წესრიგი გააცნო.

## დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2023–2024 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვა;

მომხს: სალომე ფახურიძე

2. ვანის მუნიციპალიტეტის გენდერულ თანასწორობის საბჭოს 2023 წლის სამუშაო გეგმის განხილვა;

მომხს: გიორგი ივანიაძე

3. სხვადასხვა.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

### მოისმინეს;

1. გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანმა-სალომე ფახურიძემ პირველ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს წევრებს „ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2023 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი გააცნო.

მომხსენებელმა სამოქმედო გეგმის ძირითად მიმართულებებზე, საბჭოს მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებზე და აქტივობებზე ისაუბრა და იმ მნიშვნელოვან გამოწვევებზე გააკეთა აქცენტი, რომელიც გენდერული საბჭოს მუშაობის პროცესში წამყვან როლს ასრულებს, მან ხაზი გაუსვა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ პრიორიტეტებს: გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის გაძლიერებას, გენდერული სტატისტიკის წარმოებას და სისტემატურ განახლებას, ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მუნიციპალიტეტის საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტთან, სამოქალაქო სექტორის ჩართულობის მნიშვნელობას და თანამშრომლობის ერთიანი მექანიზმის შექმნის აუცილებლობას, შედეგზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებას და ამ მიზნით გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მეწარმე სუბიექტებთან შესაბამის სამსახურებთან ერთად მჭიდრო თანამშრომლობას გაუსვა ხაზი.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით „ვანის მუნიციპალიტეტის გენდერულ თანასწორობის საბჭოს 2023 წლის სამუშაო გეგმის განხილვა“, მომხსენებელმა-გიორგი ივანიაძემ განმარტა, რომ „ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სამოქმედო გეგმის პროექტთან დაკავშირებით საბჭოს წევრების მხრიდან მოსაზრებებს, შენიშვნებს და წინადადებებს მივიღებთ 20 თებერვლამდე, რომელსაც მოვისმენთ და განვიხილავთ საბჭოს უახლოეს სხდომაზე, სადაც მიღებულ საბოლოო ვარიანტს დავამტკიცებთ საკრებულოს სხდომაზე. სამოქმედო გეგმა, რომელიც აგრეთვე იქნება გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023 წლის სამუშაო გეგმაც, იქნება კონკრეტული, მკაფიო და ასახავს მუნიციპალიტეტის საჭიროებებს გენდერულ ჭრილში.

მოგეხსენებათ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისთვის წინა წლის მსგავსად გამოყოფილია 5000 (ხუთიათასი) ლარი, რომელსაც მივმართავთ ყველაზე მნიშვნელოვანი საჭიროებების და ღონისძიებების განსახორციელებლად.

საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ დადგენილ ვადაში წარმოადგენენ თავიანთ მოსაზრებებს, შენიშვნებს და მოსაზრებებს ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით.

3 „სხვადასხვა“-ში საბჭოს სხდომაზე განიხილეს აგრეთვე დედის და ქალთა საერთაშორისო დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების შესახებ.

აზრი გამოთქვა- გენდერული საბჭოს თავმჯდომარემ -გიორგი ივანიაძემ აღნიშნა, რომ „4 წლის წინ გენდერული საბჭოს ინიციატივით და ორგანიზებით 8 მარტს მოეწყო ღონისძიება, სადაც სხვადასხვა სფეროში წარმოჩენილი ქალბატონები და ყველაზე მრავალშვილიანი დედა მოვიწვიეთ და სიმბოლური საჩუქრები გადავეცით. ეს ტრადიცია გაგრძელებას საჭიროებს, თუმცა მართებული იქნება თუ ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის მასტაბით მრავალშვილიან პედაგოგებს მივულოცავთ ქალთა და დედის დღეს.

აზრი გამოთქვა-საბჭოს წევრმა-ლელა ჩიკვაიძემ „7 მარტს მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით კულტურის სახლში დაგეგმილია ქალთა საერთაშორისო დღისადმი- 8 მარტისადმი მიძღვნილი ღონისძიება“.

აზრი გამოთქვა-საბჭოს წევრმა დავით ხარბეიშვილმა „ჩვენ შეგვიძლია აღნიშნულ ღონისძიებაზე მოვიწვიოთ მრავალშვილიანი პედაგოგები და ღონისძიების მსვლელობის დროს გადავცეთ სიმბოლური საჩუქრები.

საბჭოს წევრებმა იდეა მოიწონეს, თუმცა ნომინაციებთან დაკავშირებით ნაჩქარები გადაწყვეტილება არ მიიღეს და შეჯერდნენ, რომ კიდევ ერთხელ იმსჯელებდნენ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ-გიორგი ივანიაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე

გიორგი ივანიაძე



---

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი

სალომე ფახურიძე



---

06.02.2023

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების N1 სხდომაზე

დასწრების ფურცელი

	სახელი გვარი	პოზიცია	ხელმოწერა	სხდომის ჩატარების თარიღი
1	გიორგი ივანიაძე	თავმჯდომარე	<i>ვ. ივანიაძე</i>	06.02.2023 წელი
2	ნატული დვალისხილი	თავმჯდომარის მოადგილე	<i>ნ. დვალისხილი</i>	
3	სალომე ფახურიძე	მდივანი	<i>ს. ფახურიძე</i>	
4	ეთერი ჭიჭინაძე	წევრი	<i>ეთერი ჭიჭინაძე</i>	
5	თამარ შენგელია	წევრი	<i>თ. შენგელია</i>	
6	დავით ხარბიშვილი	წევრი	<i>დ. ხარბიშვილი</i>	
7	გიორგი ტყეშელაშვილი	წევრი		
8	თეონა ადეიშვილი	წევრი	<i>თ. ადეიშვილი</i>	
9	გოჩა ჭუბაბრია	წევრი		
10	ბესიკი გველესიანი	წევრი	<i>ბ. გველესიანი</i>	
11	მარინა ღვინიაძე	წევრი	<i>მ. ღვინიაძე</i>	
12	ლანა გოგობე	წევრი	<i>ლ. გოგობე</i>	
13	გელა ჩიკვაძე	წევრი		
14	მამუკა ნამიჭიშვილი	წევრი		
15	მიხეილ სვანაძე	წევრი	<i>მ. სვანაძე</i>	
16	გვანცა სიგუა	წევრი	<i>გ. სიგუა</i>	
17	თამაზი თავაძე	წევრი	<i>თ. თავაძე</i>	
18	ივანე მამფორია	წევრი	<i>ი. მამფორია</i>	
19	ლელა ჩიკვაძე	წევრი	<i>ლ. ჩიკვაძე</i>	
20	ნანა ლილუაშვილი	წევრი		
21	ნათია ძობუაშვილი	წევრი	<i>ნ. ძობუაშვილი</i>	
22	გურანდა გვანცელაძე	წევრი		
23	ნატო დვალი	წევრი		